1 ივლისი

რიგითი XIII კვირა [I], მწ

(18.VI) წმ. ღიხსი მიქაელ უღუმბელი, მონაზონი, VIს

2022 პარასკევი

ამ 8,4-6.9-12; ფს 118; მთ 9,9-13

ისმინეთ ეს, ღარიბ-ღატაკთა მშთანმთქმელნო- ამ 8,4

წინასწარმეტყველ ამოსის დროს ასეც ხდებო-და... თავისთავად ცხადი როდია, რომ ფულით მდიდარი სიყვარულსა და თანაგრძნობაშიც მდიდარი იყოს. ისინიც კი, ვინც ღმერთთან თავი წესრიგში ჰგონიათ, ყოველთვის როდი არიან თანაგრძნობით სავსე. იესომ შეამჩნია ეს მაშინ, როცა ცდილობდა ყველას ეგემა მამის სიყვა-რული. ამის შესახებ მათემ მაშინვე, მოხმობის პირველივე დღიდან შეიტყო.

2 ივლისი

2022 შაბათი

ამ 9,11-15; ფს 84; მთ 9,14-17

დავაბრუნებ ტყვეობიდან ჩემს ერს, ისრაელს ამ 9,14

წინასწარმეტყველი ამოსი, ბოლოს და ბოლოს, აუწყებს ცვლილების შესახებ. სასჯელისა და ხალხის მოქცევის შემდეგ დგება ლოცვის შესმენის ჟამი. ეს ნაუწყებია სახარებაში: ფარისევლები და იოანეს მოწაფეები მარხულობენ, რათა მოიპოვონ მესიის, მაცხოვრის მოსვლა: აი, ის მოვიდა! იესოს მოწაფეები ხომ აღარ მარხულობენ.

3 ივლისი

რიგითი XIV კვირადღე, «გ», [II], მწ

2022 კვირა

ეს 66,10-14; ფს 65; გალ 6,14-18; ლკ 10,1-12.17-20

განკურნეთ იქ მყოფი სნეულნი ლკ 10,9

ბოლოს იესო აგზავნის თავის მიმდევრებს, რათა ივარჯიშონ იმ მისიის შესრულებაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უნდა აღასრულონ. და ესაა მათი ერთ-ერთი დავალებაა: ავადმყოფების განკურნება. ისინი ყურადღებით მოეკიდებიან ყველაზე უძლურთ, რათა სისრულეში მოიყვანონ მამის საქმე ცალკეულ ადამიანებში: თუ ისინი ჯანმრთელები იქნებიან, უფრო ადვილად შეძლებენ ძმებს ემსახურონ. მათ დაიწყეს, ჩვენ კი სიხარულით ვაგრძელებთ.

4 ივლისი

2022

რიგითი XIV კვირა [II], მწ

(21.VI) წმ. ახჩიღი, საქართველოს მეფე, +744;
წმ. ელისაბედ პოჰტუგალიელი, +1336

ოსშაბათი

ოს 2,16-18.21-22; ფს 144; მთ 9,18-26

აჭა, თდაბნოში წავიყვან,
რომ გულითადად ველაპარაკო- ოს 2,16

ოსია წინასწარმეტყველი ერს ადარებს მოღალატე ცოლს: მთელი რიგი ძალისხმევაა საჭირო მასში ქმრისადმი სიყვარულის ხელახლა გასაღვიძებლად. ერის „ქმარი“ ღმერთია, ქმარი, რომელსაც სურს უჩვენოს მას თავისი სიყვარულის მთელი მშვენიერება: ამგვარად მთელი ერი ხელახლა შეიყვარებს და დაჰყვება მას.

5 ივლისი

2022

რიგითი XIV კვირა [II], მწ

წმ. ანტონ მახია ზაქახია, ხუც., +1539

სამშაბათი

ოს 8,4-7.11-13; ფს 113B; მთ 9,32-38

მუნჯმა ენა ამოიდგა მთ 9,33

როგორ შეუძლია იესოს მუნჯი აალაპარაკოს? განდევნის მისგან ეშმაკს, რომელიც პირს უმუწავს მას, პირზე მეტად კი გულს. არცერთ ეშმაკს არ უნდა ჩვენ შორის თანაზიარება, რადგან თანაზიარებაში ხომ მამა მოქმედებს. ეშმაკის განდევნის შემდეგ ადამიანის გულს შეუძლია შეიყვაროს და დაჰყვეს სიყვარულს.

6 ივლისი

2022

რიგითი XIV კვირა [II], მწ

წმ. მარია გორეტი, ქაღწ. და მოწ., +1902

ოთხშაბათი

ოს 10,1-3.7-8.12; ფს 104; მთ 10,1-7

დროა თეფლის ძიებისა ოს 10,12

კეთილდღეობამ გააფუჭა ერი და დააშორა იგი ღმერთს. საჭიროა მასთან დაბრუნება, სხვაგვარად... სხვაგვარად მძიმე სატანჯველი დაატყდება ერს. იმისათვის რომ იგი მოუბრუნდეს უფალს, მოექცეს მისკენ, იესომ მიავლინა თავისი მოწაფეები და მოციქულები, იმათ განსაკურნებლად და გასაჯანსაღებლად, ვინც მათ მიიღებს და მიიღებს მის სიტყვას.

7 ივლისი

2022 ხუთშაბათი

ოს 11,1-4.8-9; ფს 79; მთ 10,7-15

მე წმიდა ვარ თქვენში ოს 11,9

ამგვარად წარუდგენს თავს ღმერთი იმ ერს, რომელსაც მისი სიყვარული არ გამოსდის. იგია წმიდა, ანუ ის, ვინც კვლავაც განაგრძობს სიყვარულს, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად იმისა, რომ ის დაშორდა მას. ღმერთი მამასა და დედასა ჰგავს, რომლებიც შვილის ჭირვეულობის მიუხედავად კვლავაც მის სიკეთეზე ზრუნავენ! და იესო გვასწავლის სიწმიდეს, ღმერთის სიწმიდით ცხოვრებას!

8 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II], მწ

2022 პარასკევი

ოს 14,2-10; ფს 50; მთ 10,16-23

მაშ, იყავით გონიერნი,
როგორც გველნი მთ 10,16

იესო განაგრძობს თავისიანების დამოძღვრას. ხალხში, მის გარეშე, ისინი იქნებიან, როგორც კრავები მგლებს შორის. სამყაროში ძალადობა და თავკერძობაა, ეს უნდა ახსოვდეთ. ისინი ერთნაირად როდი მოიქცევიან. წინდახედულება მართებთ, რათა აბუჩად აგდებისა და მტრობის გამო იმთავითვე არ აიღონ ხელი ქადაგებაზე, არც სიხარულის გამოხატვაზე იტყვიან უარს, რათა უფლისკენ მიიზიდონ ადამიანები.

9 ივლისი

2022

რიგითი XIV კვირა [II], მწ

წმმ. ავგუსტინე ჟაო ჰონგი და მეგობ., ჩინელი წამებულნი +1648-1930

შაბათი

ეს 6,1-8; ფს 92; მთ 10,24-33

რასაც თქვენ სიბნელეში გეუბნებით, სინათლეზე ილაპარაკეთ მთ 10,27

ჩვენ ვუსმენთ იესოს ჩვენი გულის სიღრმეში და ჩვენი ეკლესიისა თუ ჩვენი ოთახის სიჩუმეში. მაგრამ ის, რასაც იგი გვაგებინებს, ჩვენთვის როდია, არამედ ყველასათვის. ეს არის სიმდიდრე ყველა კაცისთვის, ყველაზე ლამაზი საჩუქარი, რომელიც შეგვიძლია გავუწოდოთ მათ, ვინც გვიყვარს და ვინც მას უყვარს.

10 ივლისი

რიგითი XV კვირადღე, «გ», [III], მწ

2022 კვირა

რჯლ 30,10-14; ფს 18; კოლ 1,15-20; ლკ 10,25-37

თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა,
რომ დავბრუნდები, მოგცემ ლკ 10,35

რა მშვენიერია კეთილი სამარიელის იგავი! ის გვიცხადებს იესოს გულის სიმშვენიერეს და მოგვიწოდებს, მას დავემსგავსოთ. სამარიელი თავის სიყვარულს სხვას როდი გადააბარებს. „ყველაფერზე თავად ვიზრუნებ, – ამბობს ის, – ტანჯულ კაცს, ღმერთმა რომ შემახვედრა, ბოლომდე მოვუვლი“.

11 ივლისი

2022

წმ. ბენედიქტე, აბატი, +547
ევროპის მფარველი დ, [ს], თ

ოთხშაბათი

იგ 2,1-9; ფს 33; მთ 19,27-29

რაბათში ბენედიქტელ დედათა დღესასწაული

თეფალი იძლევა სიბრძნეს იგ 2,6

ეს სიტყვა გვეხმარება ვიფიქროთ ჩვენს მფარველ წმიდანზე, ბენედიქტეზე, რომლის დღესასწაულსაც აღვნიშნავთ. რატომ მივაგებთ მას პატივს? ის ეძებდა ღვთის სიტყვას და მიიღო სიბრძნე, სიბრძნე, რამაც იგი მრავალი ხალხისთვის კურთხევად აქცია. მანაც მოციქულების მსგავსად ყველაფერი მიატოვა უფლის კვალში სასიარულოდ და მისგან მიიღო მადლი, დახმარებოდა უამრავ ადამიანს.

12 ივლისი

2022 სამშაბათი

ეს 7,1-9; ფს 47; მთ 11,20-24

თუ არ ირწმუნებთ, ვერ გაძლებთ ეს 7,9

ერთი საიდუმლოა გასამხელი: რწმენის გარეშე „ყოველივე ჩამოიშლება“. გამორიცხე რწმენა ოჯახიდან და ის დაგეშლება. ნუ მიაქცევ ყურადღებას რწმენას დაბაში, უბანში, და ის იქცევა მარტოხელა და მარტოსულ ადამიანთა ბრბოდ. იგივე ითქმის მთელ ერზეც. შემიძლია ვენდო მხოლოდ მას, ვისაც სწამს, ვინც უჯერის ღმერთს და არა საკუთარ სურვილებსა თუ მიდრეკილებებს. მეც პირადად სტაბილურობას ვპოულობ მხოლოდ მამა ღმერთზე მინდობით!

13 ივლისი

2022

(30.VI) წმ. ჯინახ ჯეჯოფაღი, X ს;
წმ. ჰენხიხი, + 1024

ოთხშაბათი

ეს 10,5-7.13-16; ფს 93; მთ 11,25-27

დაუფარე ეს ბრძენთა და გონიერთ მთ 11,25

ასე მოქმედებს მამა, რომელსაც შენატრის იესო. ბრძენნი და სწავლულნი ტრაბახობენ და თავი დიდად მოაქვთ სხვების წინაშე: მათში ადგილი არ არის ღვთის სიბრძნისთვის, რომელიც არის წმიდა, თვინიერი, თავმდაბალი. მისი მიღება შეუძლიათ მცირეთ და უბრალოთ, რომლებიც გულში კედლებს არ აგებენ. შენც ერთი ამათგანი ხარ? ეჭვი არაა! იმედი მაქვს მეც ვიქნები...

14 ივლისი

2022

რიგითი XV კვირა [III], მწ

წმ. კამილო დე ლელისი +1614
კამილიელთა ორდენის დამაარსებელი

ხუთშაბათი

ეს 26,7-9.12.16-19; ფს 101; მთ 11,28-30

კამილიელ მამათა და დედათა დღესასწაული,
სნეულთა და მედმუშაკთა მფარველი

გასაჭირში გემებდნენ შენ ეს 26,16

მართლებს ახსოვხარ შენ, მამაო, როცა განსაცდელში არიან. ტანჯვა არ ტოვებს შენს ღარიბებს, ვინაიდან სიღარიბე ხდება მათი ჯაფის მიზეზი და არც ამაქვეყნის ძლიერთა ძალმომრეობისაგან იცავს მათ.
გმადლობთ, რომ მოგვივლინე იესო!
მასთან შემიძლია მივიდე გასამხნევებლად
და გასაძლიერებლად.

15 ივლისი

2022

რიგითი XV კვირა [III]

წმ. ბონავენტურა, ეპ. და მოძ., +1274, (მ), თ

პარასკევი

ეს 38,1-6.21-22.7-8; ფს: ეს 38,10.12.16; მთ 12,1-8

კაცის მე შაბათის უფალიც არის მთ 12,8

იესო გვასწავლის, რომ ეკლესიისა და საზოგადოების ცხოვრებაში ნებისმიერ წესსა თუ კანონზე მაღლა თავადა დგას; მასთან ურთიერთობაში იბადება და იზრდება ჩვენში ღვთიური სიყვარული, როგორც უმნიშვნელოვანესი კანონი, ყოველი წესის საფუძველი. გმადლობ, იესო, შენში ვპოვებთ ნათელს, მშვიდობასა და ნამდვილ თავისუფლებას ჩვენი სიცოცხლისათვის!

16 ივლისი

2022

(3.VII) წმ. ღიხსი გიოხგი ღმეხთშემოსიღი, დაყუდებული, +1068;/ კახმეღის მთის ნ. ქაღწუღი მახიამი

შაბათი

მიქ 2,1-5; ფს 9ბ; მთ 12,14-21

მის სახელს მიენდობიან წარმართები მთ 12,21

იესო, დიდი სიხარული მომიცავს ხოლმე, როცა ვხედავ, რომ შენი სიყვარული და შენმიერი ხსნა ყოველი ადამიანისთვისაა, ყოველი ხალხისათვის, მათთვის, ვინც ჯერ არ გიცნობენ შენ და მათთვისაც, ვისაც სხივს თვალში წონა არა აქვს... ჩვენ, ეკლესიას, გვსურს ვუთხრათ ყოველ ადამიანს: იესოს უყვარხარ! იცოცხლე სიხარულით!

17 ივლისი

რიგითი XVI კვირადღე, «გ», [IV], მწ

2022 კვირა

დაბ 18,1-10; ფს 14; კოლ 1,24-28; ლკ 10,38-42

იესოს ფერხთით დაუდა და ისმენდა მის სიტყვას ლკ 10,39

უკვე მიხვდით: მარიამია, მართას და. მას სწორად უყვარს იესო: უპირველეს ყოვლისა, ის უსმენს მას და მისგან ელის მითითებებს მოქმედებისთვის. სიყვარულის პირველი ნაბიჯი არის მოსმენა, მეორე კი მისი საქმით შესრულებაა. ვინც პირიქით იქცევა, მას საკუთარი თავი უყვარს.

18 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV], მწ

2022 ოთხშაბათი

მიქ 6,1-4.6-8; ფს 49; მთ 12,38-42

...წყალობის სიყვარული, მოწიწებით სიარული უფლის წინაშე მიქ 6,8

ეს არის რჩევა, რომელსაც წინასწარმეტყველი აძლევს ხალხს, ვისაც სურს უფალს ასიამოვნოს და დატკბეს მისი აღთქმით. ეს არის ის, რასაც თავად იესო ასრულებს, რითიც ცოცხლობს და ასწავლის, ეს არის ის, რასაც ის მოელის თითოეულისგან. სიყვარულით და თავმდაბლობით გვაძლევს იმის გაგებას, რომ ეს ღვთისგან მოდის, სხვა გარანტიები არ გვჭირდება. თავმდაბალთ ესმით და მოექცევიან, როგორც ნინევეს წარმართებმა ისმინეს იონას ხმა, თუნდაც ეს უკანასკნელი არც ისე თავმდაბალი იყო და არც მოწყალე.

19 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV], მწ

2022 სამშაბათი

მიქ 7,14-15.18-20; ფს 84; მთ 12,46-50

ზღვის ფფსკრფლებში მოისვრი ყოველ მათ ცოდვას მიქ 7,19

ჩვენზე უკეთესი ღმერთი, აბა, ვისა ჰყავს? გვეკითხება მიქა. მართლაც, რომელი ღმერთი მოისვრის თავისი თაყვანისმცემლების ცოდვებს ზღვის ფსკერზე, პირიქით, ყველა ღმერთი მზად არის დასასჯელად. მხოლოდ ჩვენმა ღმერთმა იცის თავისიანთა სიყვარული, თუნდაც ისინი სუსტები იყვნენ და ვერ ბაძავდნენ მას. ამიტომაც ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მოვუსმინოთ მას და დავემორჩილოთ, როგორც დღეს იესო მოგვიწოდებს.

20 ივლისი

2022 ოთხშაბათი

რიგითი XVI კვირა [IV], მწ

წმ. აპოღინარიუსი, ეპ. და წამ., IIს

იერ 1,1.4-10; ფს 70; მთ 13,1-9

იგი შევიდა და ჩაჯდა ნავში, ხოლო მთელი ხალხი ნაპირზე იდგა მთ 13,2

იესომ იცის, როგორ დაიცვას თავი და ზრუნავს, რომ ადამიანებს შეეძლოთ მისი ხმის მოსმენა, ყველას ერთნაირად. ნავზე ადის, რათა ხალხი არ მიაწყდეს და ხელით არ შეეხოს. მისი სიტყვები კი აწვიმს ყველას, როგორც მანანა და მწყერი უდაბნოში, სადაც მოსე მიუძღვოდა ხალხს. იესოს სიტყვები საზრდოა, ზეციური საჩუქარია!

21 ივლისი

2022

რიგითი XVI კვირა [IV], მწ

წმ. დავჰენტი ბჰინდიზეღი, ხუც.და მოძ. +1619

ხუთშაბათი

იერ 2,1-3.7-8.12-13; ფს 35; მთ 13,10-17

კამილიელი მ. პავლე შჩეპანეკის გახსენება (+1999)

ვისაც აქვს, მას მიეცემა
და ექნება ჟუჭვად მთ 13,12

იესო პასუხობს მოწაფეებს, რომლებსაც არ ესმით, რატომ საუბრობს იესო იგავებით. იგავებით ყველას რაღაც ესმის, მაგრამ მხოლოდ მათ, ვისაც უყვარს იგი, შეუძლია გაიგოს, რომ ის საკუთარ თავზე ლაპარაკობს, თავს აცნობს და ამგვარად აცხადებს ზეციერ მამას.

22 ივლისი

წმ. მარიამ მაგდალელი, დ, [ს], თ

2022 პარასკევი

ქებ 3,1-4 ან, 2კორ 5,14-17; ფს 62; იო 20,1-2.11-18

დ. ნოელ ლოკატელის გახსენება (+2019)

წადი ჩემს ძმებთან და თუთხარი: ავდივარ ჩემს მამასთან და თქვენს მამასთან იო 20,17

იესო ესაუბრება მარიამ მაგდალელს, რომელიც ცრემლებს იწმედს. ის მას ხვდება არა მის გასახარად, არამედ მისთვის მისიის დასაკისრებლად. მას მოუწევს მოწაფეებთან მისვლა ამბის შესატყობინებლად, მაშინაც კი, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ის ზღაპრებს ყვება. იესოს გზავნილი მშვენიერია, ეს არის შეჯამებული სახარება. იესოს მამა ჩვენიცაა და ამიერიდან იესო ერთია მასთან. ამისთვის აღდგა.

23 ივლისი

2022 **შაბათი**

წმ. ბრიგიდა, +1373 მონაზონი
ევროპის მფარველი დ, [ს], თ

გალ 2,19-20; ფს 33; იო 15,1-8

მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში გალ 2,20

ჩვენ აღვნიშნავთ ევროპელი ხალხების მფარველ წმიდანს. ის ცხოვრობდა მთლიანად ჩაფლული იესოს სიყვარულში, რის გამოც მაგალითია არა მარტო ცალკეული ადამიანებისთვის, არამედ მთელი ხალხებისთვის. არ არსებობს უფრო ლამაზი და უფრო მხიარული საზოგადო ცხოვრება, ვიდრე ის, რომელიც ყოველ წამს ღვთის ძეს მიმართავს.

დაბ 18,20-32; ფს 137; კოლ 2,12-14; ლკ 11,1-13

კამილიელი მ. ნინო (ჯანჯიროლამო) მარტინის გახსენება (+2017)

თეფალო, გვასწავლე ლოცვა ლკ 11,1

მოწაფეებმა შენიშნეს, რომ იესო უჩვეულოდ ლოცულობდა. უპირველეს ყოვლისა, ის განაგრძობდა ლოცვას და დუმილით ამდიდრებდა მას. მოელოდნენ, რომ მათაც ასწავლიდა, მაგრამ ის ელოდა, რომ ისინი თავად სთხოვდნენ მას ამის შესახებ. ახლა ორი სურვილი ხვდება ერთმანეთს. "თქვით: მამაო ჩვენო...". ვინც ლოცულობს, გულში უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ის შვილია, რომ ის უკვე სიყვარულითაა მოცული... წინააღმდეგ შემთხვევაში ის მოიქცევა როგორც წარმართები, რომლებიც არ იცნობენ ღმერთს.

25 ივლისი

2022

წმ. იაკობ მოციქული, დ, [ს], წ;
(12.VII) ღიხსნი იოანე და გაბხიეღ ათონეღნი, X ს.

ოხშაბათი

2კორ 4,7-15; ფს 125; მთ 20,20-28

ჩვენც გვწამს და ამიტომ
ვლაპარაკობთ 2კორ 4,13

წმიდა იაკობი პირველი მოციქულია, რომელიც მოწამეობრივად დაამოწმებს იესოს შესახებ. ირწმუნა და ილაპარაკა. რა თქვა? ეჭვგარეშეა, საუბრობდა იესოზე, თუმცა რიგით ჰეროდეს ეს არ მოსწონდა. იაკობს არ უყვარდა პოლიტიკურად კორექტული საუბარი, არამედ სიმართლეს ამბობდა, რადგან ღარიბებს ეს სჭირდებათ: ჭეშმარიტება კი იესოა!

26 ივლისი

2022

რიგითი XVII კვირა [I]

წმიდანი იოაკიმე და ანა, მშობელნი ნეტარი ქალწული მარიამისა, (მ), თ

სამშაბათი

იერ 14,17-22; ფს 78; მთ 13,36-43

ვისაც ყურები აქვს, ისმინოს მთ 13,43

ამგვარად ამთავრებს იესო ერთი იგავის თხრობას. ხორბალს შორის სარეველა ამოსულიყო, თუმცა მთესველს არ დაეთესა ის. ისმინე! რას ნიშნავს? გაფრთხილდი, რომ შენს გულში, შენს ოჯახში, შენს შვილებს შორის, შენს მრევლსა და ყველგან, არ იყოს სხვა მთესველი, რომელსაც სურს შენი ავი და ოჯახისა და მრევლის ავი. იფხიზლე, და განაგრძე ლოცვა!

27 ივლისი

2022 ოთხშაბათი

იერ 15,10.16-21; ფს 58; მთ 13,44-46

შენი სიტყვები სიხარულად მექცა
და გულის სიმხიარულედ იერ 15,16

იერემია მადლობას უძღვნის ღმერთს მისი სიტყვისთვის, რომელმაც გული სიხარულით აუვსო. ირგვლივ უხვად აქვს შეშფოთებისა და მწუხარების მიზეზები, მაგრამ ღვთის სიტყვა ყველაფერს გადასწონის. ამიტომაა, რომ ადამიანი განძს ან ძვირფას მარგალიტს ეძებს, როგორც იესო ამბობს, ამ განძისა და მარგალიტის წინაშე ყველაფერი კარგავს ფასს. გაიგე? ეს არის იესო, ღვთის სიტყვა, მარგალიტი და საგანძური: ყველაფერი, რაც გაქვთ, უნდა გამოიყენოთ მის შესაძენად.

28 ივლისი

2022

რიგითი XVII კვირა [I], მწ

(15.VII) წმმ. ივღიტა და კვიჰიკე, წამ. (+~305)

ხუთშაბათი

იერ 18,1-6; ფს 145; მთ 13,47-53

ყოველ მწიგნობარს... თავისი საუნჯიდან გამოაქვს ძველი და ახალი მთ 13,52

იერემია მეთუნისგან სწავლობს, იესო კი მეთევზეებისგან. მეთუნე აკეთებს იმას, რაც სურს თავისი თიხით, მეთევზეებმა კი იციან როგორ გაარჩიონ დაჭერილი თევზი. სიტყვის წყალობით, რომელსაც ღმერთმა მაძლევს, ვიცი როგორ შევაფასო, რა არის კარგი და რა – ცუდი ჩემს ქმედებებში და სამყაროს სიტყვებში.

29 ივლისი

2022

რიგითი XVII კვირა [I]

წმ. მართა, (მ), თ

პარასკევი

1იო 4,7-16; ფს 33; იო 11,19-27 ან ლკ 10,38-42

მე მწამს, რომ შენ ქრისტე ხარ,
ძე ღვთისა იო 11,27

მართა პასუხობს იესოს, რომელმაც ჰკითხა, სწამდა თუ არა, რომ ის არის „აღდგომა და სიცოცხლე“. სიტყვები, რომლებითაც იგი პასუხობს, თავად ჯერ კიდევ არ ესმის ბოლომდე, მაგრამ ზუსტად ეს სიტყვები იძლევა სიცოცხლეს: "შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა". ჩვენ ვიმეორებთ მათ კვლავ და კვლავ. ეს სიტყვები ჩვენში ნამდვილ და სულიერ სიცოცხლეს აშენებს.

30 ივლისი

წმ. პეტეხე ქიიზოღოგი, ეპ. და მოძღ., +450

2022 შაბათი

იერ 26,11-16.24; ფს 68; მთ 14,1-12

ნამდვილად უფალმა
გამოგზავნა თქვენთან იერ 26,15

იერემია ელაპარაკება მეთაურებს, რომელთაც მისი სიკვდილი უნდათ. ის ამბობს: მომკალით, მაგრამ იცოდეთ, თუ აქ ვარ, ეს იმიტომ, რომ ვემორჩილები ღმერთს. სახარება გვეუბნება, რომ იოანე ნათლისმცემელი მართლაც მოკლეს, ისევე როგორც იესოს დაემართება. ჩვენ არ ვიდარდოთ იმაზე თუ რას იზამენ ძლიერნი ამაქვეყნისანი, არამედ მხოლოდ მამის ნების აღსრულებაზე.

31 ივლისი

რიგითი XVIII კვირადღე, «გ», [II], მწ

2022 კვირა

ეკლ 1,2; 2,21-23; ფს 89; კოლ 3,1-5.9-11; ლკ 12,13-21

დაიცავით თავი ყოველი ანგარებისაგან ლკ 12,15

რამდენს წუხს ხალხი მემკვიდრეობაზე! ის ძმა, რომელზეც სახარება ლაპარაკობს, ბოლო როდია. ყველას, ვინც იგავს უსმენს, სჯერა, რომ მაინც მართალია და შესაძლოა არც სურდეს ამის მოსმენა. დეპოზიტები? დანაზოგები? რაში გამოვიყენებთ მათ? გავუგნურდებით თუ ღვთის წინაშე გავმდიდრდებით?